



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### დუმბაძე ანტონ თეოფილეს ძე

დუმბაძე ანტონ თეოფილეს ძე (7. I. 1933, სოფ. შემოქმედი, ახლანდ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, - 25. XI. 1998, თბილისი), მხატვარ-გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1984).

დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1960). მისი პედაგოგები იყვნენ ვ. გრიგოლია, ს. ქობულაძე, ვ. ჭაფარიძე, ვ. ქუთათელაძე. 1960-იდან მხატვრად მუშაობდა შრიფტის ექსპერ. ლაბორატორიაში (1972-იდან - გამგე), სადაც ბ. გორდებიანის ხელმძღვანელობით დაეუფლა ქართ. სასტამბო შრიფტის პროექტირების ხელოვნებას.

1960-88 შექმნა და წარმოებაში დანერგა 18 სატექსტე და 30 სატიტულო, საწერი მანქანებისა და სააფიშო შრიფტი. დის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მაღალი პროფ. და მხატვრული გემოვნება. მის მიერ შექმნილი საშრიფტო გარნიტურები თანამედროვე ქართ. საშრიფტო ხელოვნ. მნიშვნელოვანი შენაძენია, მ. შ. აღსანიშნავია: „უნივერსიტეტი”, „ლიტერატურული”, „ენციკლოპედიური” (ამ შრიფტით დაიბეჭდა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის” ტომები), „ნაკადული”, „გორდა”, „აკადემიური”, „ილია”, „ილია II” და სხვ. (ყველა საშრიფტო გარნიტური პრემირებულია და დანერგილია წარმოებაში).

დ . მუშაობდა დაზგურ გრაფიკაშიც. 1990-იდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).